



„კვალის“ ტელეფონი № 734.

№ 52

დ ე კ მ მ ბ მ რ ი 24 1900 კვ. 835-36 რეკლამა № 52

შინაარსი: საშობაოთ. — საშობაო, ლექსი დ. თომაშვილისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალის“ ს კორესპონდენტები. — ჩვენი სახიობა. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ქართველ მიწის-მზომელთა მიმართ ივ. მეძმარიაშვილისა. — ხსოვნა (დასასრული), მოთხრობა ელ. წერეთლისა. — ბიბლიოგრაფია ი. გ. — რისა. — განცხადებები და „კვალის“ სარჩევი 1900 წ.

„კვალის“ რედაქცია გადავიდა საპიერნის ქ. № 15, ალექსანდ. ბაღის ახლო

საშობაოთ



მ ცხრამეტი საუკუნის წინ ურიასტანში გავარდა ხმა, ბეთლემს იშვა მეუფე ურიათაო! „ვითარცა ესმა ესე იროდი მეფესა, შეძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი მისთანა“. ყრმამ ძუძუმწოვარმა შეაშფოთა მეფე ქლიერი, ყრმამ ჩვილმა და უმწეომ შეაშინა მეფე ნამღვილი და ღონიერი;


ბაგასა შინა მწოლარემ აალაპარაკა სასახლეების პირ-მშო შვილები, საგებსა შინა გახვეულმა ააბობოქრა ძვირფასი სამოსლების მატარებლები. და მერე რატომ? იმიტომ, რომ შობა ყრმისა იყო შობა სიყვარულისა და თანასწორობისა... მოციქული ძმობისა

დაიბადა, მაშასადამე მოციქული ძალ-მომრეობისა უნდა გამქრალიყო. შექადაგებელი სიმართლისა ქვეყანას გამოეცხდა, მაშასადამე შექადაგებელი უსამართლობის ამ ქვეყნიდან უნდა გასულიყო. და ყველაზე ადრე ის იწამეს იმათ, ვინც ყველაზე მეტათ საქრთობდნ სიმართლეში და თანასწორობაში. „მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა და მოვიდეს მსწრაფლ, და ჰპოვეს მარამ და იოსებ და ყრმა იგი მწოლარე ბაგასა“ და თაყვანი სცეს მას. ქეშმარიტება პირველათ იცნეს მწყემსებმა! ქვეყნის განახლება პირველათ იგრძნეს ტვირთ-მძიმეთა და დამაშვრალთა! თაყვანისცემა ახალ-დაბადებულის იყო თაყვანისცემა იმედისა და სასოგებისა. ეს იმედი არასოდეს არ ეკარგვის დაჩაგრულთ, სასოება არასოდეს არ ტოვებს დაბეჩავებულთ, ამით სულდგმულობენ ისინი, სულდგმულობენ არა ერთ და ორ წელს, არამედ ათ და ას საუკუნეს და ელოდებიან ბედნიერ ღღეს. და აი, ამ ბედნიერების მომნიჭებელი გამოჩნდა გამოქვაბულში და მისკენ გაეშურენ უბედურნი. შეძრწუნდნ ბედნიერები, იროდი განრისხდა და „წარავლინა და მოსწყვიტა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და



ყოველთა საზღვართა მისთა“. ფუფუნებამ შური იძია, დროშა ძალმომრეობისა კიდევ ერთხელ აღიმართა, მაგრამ შობა მოციქულისა მაინც შობათ დარჩა, მისი ქვეყნათ გაქრობა ვერ შესძლეს, ხალხის უწინამძღვროთ დატოვება ვერ მოახერხეს, ის გადაურჩა ძლიერთა მახვილს და გადაურჩა იმიტომ, რომ შემდეგ სრულიად უმახვილოთ დაენგრია მეფობა უსამართლო მეფეთა და ბატონობა უსამართლო ბატონებისა.

შობა ქრისტესი არის შობა ჩაგრულთა იმედის, დევნულთა სიმართლის და მგლოვიარეთა ნუგეში. სიმხნევე და ჭეშმარიტება—აი რას გვილოცავს დღევანდელი დღე და ამასვე გილოცავთ თქვენ...



ს ა შ ო ბ ო ო ო

(ვუძღვნი ის—რეს).



ინ შეტყუის მართალს? ვინ შორით გასჭვრეტს

განთიადისა მახსოვებს?...
თითქოს ირდევკა ბნელის სამყარო და წის კამარის ვჭვრეტ გაბრწყინებს...

თუმც ვერ სრულად არ დამხობილა წუგდიადის ფარდა, ის გულის მწუკლედი, მარა აქ, შორით, ჭუჭრუტანიდან ელვარებს რაღაც ჩუმი ნათელი!..

იგი სხივია, ზირველი სხივი, ბნელ აჩრდილთ შორის გაბრწყინებული... ვინ შეტყუის მართალს?.. შე ვეღარ ვხედავ ხშირ ცრემლებისგან დაბრმავებული...


იქნებ ის სხივი, — ზირველი სხივი დილის მაცთური, მჩვენებსა, ან მისისსლე შტრის—წუგდიადის შვილი, ჩვენზე დაცინვა, მოტყუება?...
ვინ შეტყუის მართალს?.. მაგრამ აწ გამარა! —

გამკრდა სული ჭეშმარიტებით!.. როგორც ფენიქსი განახლებული, წუგდიადს სინათლე მოსდევს დიდებით! შო, შეგობრებო! მუხლ-მოყრით ვაქოთ სხივი, სინათლის წინამოხრები! ბოლო ეღება ჩვენს უსრულ ტანჯვებს და თვით წუგდიადში ჩნდება იმედი!..

სალამი შენდა, ვიშ, განთიადო! ჩვენ ხომ ამდენ-ხანს თვალს ვაცრეცხვით და, მამხიბველად, გულის წარმტაცო, შენს ზირველ სუსტ კვალს დიდ-ხანს ვეძებდით.

გამოეშურე!.. ბრმა შვილების აცრე გვირგვინი შენის სამკაულისა!.. ჩვენ იმას ვწუერთ!.. ნაცვლათ ვიიდე ჩვენგან სიწმინდესე ჩვენი გულისა!..

დ. თომაშვილი.



სხვა-და-სხვა ამბებში

სოხუმის ქალაქის თავათ მეორეთ არჩეული ა. სარაჯიშვილი არ დაუმტკიცებია ქუთაისის გუბერნატორს, ამისათვის ქალაქის თავის თანამდებობის ასრულება დროებით მიენდო ადგილობრივი ქალაქის თავის თანაშემწეს ბ. დიმიტრიევს.

თფილისში არსდება ახალი საზოგადოება — თფილისის გუბერნიაში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. ამ ჟამათ აღგენენ ამ საზოგადოების პროექტს (,ცნ. ფურ.“)

თფილისის ღურგალთა ამხანაგობა „შრომა“ მომავალი 1901 წლის პირველ იანვრიდან შემოიღებს მთავრობისაგან დამტკიცებულ წესდებას.

როგორც ხმა დადის, კავკასიის გრენადერთა არტილერიის ახლათ აგებულ შენობებში ვერაზე, არსდება საბეითალო-საფერშლო სკოლა.

21 დეკემბერს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რუსეთის სახელოვანი პედაგოგი და ცნობილი მოღვაწე პ. დ. უშინსკი. მისი „Родное Слово“ და „Дѣтскій Миръ“ დაედვენ საფუძვლათ ახალ სკოლას, და მიუხედავათ იმისა, რომ იმის გამოცემის შემდეგ 40 წელიწადი გავიდა, ისინი დღესაც საუკეთესო სახელმძღვანელოებათ ითვლებიან მთელ რუსეთში. ამას გარდა უშინსკის ეკუთვნის შესანიშნავი თხზულება: „Человѣки какъ предметъ воспитаніе“. მოვიხსენოთ აქ კიდევ მისი „Письма изъ Швейцаріи“, რომლებშიაც ის ქადაგებდა სწავლის მეთოდის განახლების შესახებ და მრავალი სხვა პედაგოგიური წერილები, რომლებიც გაფანტულია სხვა-და-სხვა დრო-გამოშვებით გამოცემაში. უშინსკი შესანიშნავია განსაკუთრებით იმიტ, რომ სწავლებას მხოლოთ დედა-ენის საშუალებით აღიარებდა.

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა შეატყობინა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, რომ მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ ნება დართულია უბაჟოთ შემოტანა სადავარგზეიდან არებატიებისა (Yardet Sxelsion) რომლითაც წამლობენ ვახს და ხეხილს სოკოს წინააღმდეგ („Нов. Об“).

წეზა-კითხვის საზოგადოება აპირებს ნაძალადევი გახსნას სამკითხველო.

ამ რამდენისამე დღის წინეთ კავკასიის მთავარ-მართველის საბჭოში განხილულ იქმნა სამოსამართლო პალატის მიერ წარდგენილი საქმე, შესახებ თფილისის ქალაქის თავის ევანგელისა და გამგეობის წევრთა: ხოსროვისა, თ-დ არლუთინსკი-დოლოგორუკოვისა და აგრეთვე გამგეობის წევრებათ ნამყოფ ივანენკოსი და ვერმიშევისა, რომელთაც ბრალი ედებათ სამსახურის ასრულების დროს დანაშაულის ჩადენისათვის.

პეტერბურგში განუზრახავთ დააარსონ თავშესაფარი სტამბებში იმ მომუშავეთათვის, რომლებიც სწეულობის თუ რამ სხვა მიზეზის გამო მუშაობას ვეღარ შეძლებენ.

17 დეკემბერს თფილისის სააბრეშუმო სადგურის შენობაში გაიხსნა ბ. შიმანოვსკის დამეჯდომარეობით კავკასიის მებარეშუმეთა და აბრეშუმის მრეწველთა ზირველი კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ შემდეგი საგნები: 1) თუთის გაშენება; 2) აბრეშუმის ქიის მოვლის გაუმჯობესობა; 3) მებარეშუმეთათვის კარგი თესლის (გრენის) მიწოდება და მისი შენახვა ზამთარში; 4) პარკისთვის ბაზრის მოპოვება; 5) საოჯახო მრეწველობის განვითარება; 6) გამოსადეგ ცნობათა გავრცელება; 7) გადასახადის შემოღება თესლზე, აბრეშუმზე და პარკზე; 8) აბრეშუმის ნაწარმოებზე სესხის მიცემა; 9) მებარეშუმეთათვის ამხანაგობების შედგენა და მოწყობა; 10) ეკონომიური და ტექნიკური დამოკიდებულება აბრეშუმის მოყვანის და აბრეშუმის მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგთა შორის. კრებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია კარგი თესლის მონახვის საქმეს, რომელთანაც შეკავშირებულია სხვა კითხვებიც, მაგ. თესლის კონტროლი და აგრეთვე ადგილობრივი თესლის განვითარება. კრებამ მიიღო ბ-ნ შავროვის მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც გრენის კონტროლის დაარსებას საველდებულოთ ხდის? კრებაზე გამოიჩინა აგრეთვე, რომ კავკასიიდან (ბათომის, ფოთის და ბაქოს ნავთსა-

დგურებიდან) გაუტანიათ გამხმარი პარკი: 1896 წ — 44,000 ფუთი, 1897 წ — 52,000 ფ., 1898 წ. — 57,000 ფ., ხოლო 1899 წელს — 127,000 ფ. ამ რიცხვიდან მარტო ქუთაისის გუბერნიიდან გაუტანიათ: 1896 წ. — 10,000 ფ., 1897 წ. — 15,000 ფ., 1898 წ. — 22,000 ფ. და 1899 წ. — 36,000 ფ. ამ ნაირათ, როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, აბრეშუმის მოყვანას კავკასიაში და კერძოთ ქუთაისის გუბერნიაში ამ უკანასკნელ ორი თუ სამი წლის განმავლობაში ერთი ორათ და ერთი სამათ უმატია. ამას აშკარათ ამტკიცებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ეს საქმე იმდენათ გართულდა დღეს ჩვენში, რომ მის გამოსარკვევათ საჭირო შეიქნა ცალკე კრების მოწვევა.

„კულის“ კორესპონდენციები

ს. ჯიმიოი (სიღნაღის მაზრა). მთელ სიღნაღის მაზრაში არ მოიპოვება არც ერთი სოფელი, რომ ჯიმიოისავით უკან ჩამოხეხილი იყოს სწავლა-განათლებლაში. არა თუ სიღნაღის მაზრაში, ვგონებ მთელ საქართველოშიც კი არ მოიპოვება ისეთი ჯიუტი ხალხი როგორც ჯიმიოელები არიან. გარდა სოფლის მწერლისა და მღვდლისა ერთ კაცს ვერ ნახავთ, რომ არამც თუ რუსული, ქართული წიგნებიც მანც იცოდეს. სოფელ ჯიმიოში 423 კომლია, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი 2340 ს. აღემატება. ამ სოფელს აქვს ოთხი ეკლესია, ორი კრებული. მართალია აქ სიღნაღე გაცილებით მეტია ქიზიუის სოფლებზე, მარა განა ამოღებს ხალხი ვერ შეძლებს, რომ ერთი სამრევლო სსსწავლებელი მანც შეიხსნოს? ერთი კი არა ორიც შეუძლიათ, მარა, განა არ მოგეხსენებათ, თითო მახინჯი ყველა ოჯახშია და აი სწორეთ ამ ზოგერთ მახინჯთა და უკუდმართებ ბრალი სსსწავლებლის უქონლობა. წელს ენკენისთვის არ მახსოვს 15 თუ 16-ში მოვიდა მასწავლებელი ქალი თავის დედათ. ამ ქალმა გახსნა სკოლა ბლადონის ი. შიშიევის სახლში და დაუწყო სწავლება ემაწვილებს, რომელთა რიცხვი 40-დე იყო. ამ ემაწვილების, და ნამეტნავათ მშობელთ სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არა ქჭნდა. ერთსელ სკოლაში თურმე მიცვივდენ ჯახებით რამდენიმე უკუდმართი ზირი და გამოჩვენეს ემაწვილები, მაგრამ ისინი ამ ჯავრობა-მუქარას არ შეუშინდენ და უფრო გულ მოდგინეთ შეუდგენ სწავლას. სწავლა თავის წესზე მიდიდა გიორგობისთვის 13-დის. გიორგობისთვის 13-ში აქ მოვიდა სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მდ. მ. დავით იაშვილი, რათა სსსწავლებელი სკოლა ოფიციალურათ დაემტკიცებია. იაშვილმა მოიწვია ქალაქის ნაწილის ბოქაული ბ. კვალიაშვილი და ს. ჯიმიოის მამასხლისს, მამა ტურაშვილს, დაავალა ხალხის შეკრება. ხალხი ცოტა შეიკრია, არც ბოქაული გადმოვიდა. 15-ში არ იხება ბ. მამასხ-



დასმა ურდობის მოხდენა, არა მცალიანო (ქორწილი
ქქონდა შვილის). სოფლის მწერალს იაშვილმა უბრძანა,
მამასახლისის დამიძახე, რომლისაგან ვასუსხთ მიიღო:
მე ხომ შენი გზირი არა ვარ! მ. დ. იაშვილივი იქდა
გულ-ხელ დაკრეფილი ბლადონის სხლში. 15 კიდევ
დაბობრა მამასახლისი და გამოუცხადა: „ხემა ძმაო, შენ
იქნები გონია ამის მეტი საქმე არა მაქვს? რის მათე-
რებინებ, შემეგონებე ხალხი, უნდა წავიდე! ღვინისაგან
გაწითლებულმა მამასახლისმა მოახსენა: „რა ვქნა, შენი ჭი-
რბივე, არ შეცალა და აი ამაღამ დაუგული ხალხს და ხვა-
ლე სულ გამოურეკავ კანცელარიაში;“ მართლა დაუარა
იმ დამეს ხალხს და ასე მიმართა: „ხალხნო და ჯამათნო,
ხვალ სუვეკლანი გამოდით კანცელარიაში, ვიდაც ღვდელი
მოსულა და აი სკოლაა თუ რადაც ჯანაბა ის უნდა გახს-
ნას. რა თავში ირტყავთ სკოლას! იქ რაც არ ირუვნებთან
უმაწვილები არსა სწავლობენო!..“ 16 გიორგიბისთავის
შეკრფადა ხალხი, მარა უვეკლას რადაც მწუხარე გამომეტე-
ველება ქქონდა სახეზე. სახამ მეთვალურე იაშვილი ჩა-
მოვიდოდა სასოფლოზე. ბევრი რამ ითქვა ამ უბედურ
სკოლაზე, როგორც ავი აგრეთვე კარგი. აკერ მეთვალ-
ურე მოდისო, გაისმა ხმა. ხალხმა სული განაბა. ბოქაუ-
ლიც გამოჩნდა. ხალხში ვატარა მოსწავლეებიც მოჩანდებ.
მეთვალ-ურემ წარმოთქვა სიტყვა სკოლის საჭიროებაზე
და შემდეგ მიმართა მამასახლისის შემდეგი სიტყვით: ამა
მამასახლისო, როგორც მამა ამ სოფლისა, უჩვენე მატა-
ლითი ხალხს და თუ გინდა სკოლა გაიხსნას შენ
სოფელში მოაწერე „გვიანდა“, თუ არა და „არა“-თქო.
ბატ. მამასახლისმა, შამ ტურნაშვილმა ხელი დაიდო გულ-
ზე და ისე წარმოთქვა: თავი რომ მომჭრათ, ბატონო,
შენი ჭირბივე მაინც არ მოვაწერ ხელს, სოფელს არ
უნდა და მე რა ვქნა, მომკლავებო ამა შემდეგ გამოვიდა
გარეთ და ხალხს შესძახა: ხალხნო, გინდათ სკოლა თუ არა?
და თან ხელებს უქნევდა, მითომ თქვით არაო. ხალხმაც
შებლავლა ერთ ხმივ; „არ გვინდა, არ გვინდაო“. დი-
ლის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-ის იყო ერთი უსარკებ-
ლო უაყანი და ბოლოს ოთხიოდე უკუდმართმა დასდია
ათასს და მით ს. ჯიშითისათვის ბუნბიერი დღე უბე-
დურათ დაბოლოვდა. ერთხელ კიდევ შეკვითხა ხალხს მე-
თვალურე: „ამა ძმანო მივდივარ, მამ ეს თქვენთვის
გადადებული ორმოცდა-ათი თუმანი ფული უკან წავიღო
თუ ხსნით სკოლასო? ერთმა მოწინააღმდეგემ აწია ფეხი
და დაანახა მეთვალურეს: „აი ქალამნის კობები დაწვე-
ტილი მაქვს და მოიტა ეკ ფული თუ მაკრე გემეტება ჩვენთვის
ამ ქალამნებს გავიახლებთო“. და მართო ურცხვით ხარხა-
რი. ამით დაბოლოვდა სოფელ ჯიშითში სკოლის გახსნის
საქმე. იქნება ხალხს მართლა არ უნდა? ან იქნება თვი-
თონ მეთვალურემ ვერ იმოქმედა ისე, როგორც საჭი-
რო იყო? არა, ბატონებო, თამამათ ვიტყვი, ხალხსაც
უნდა სწავლა-განათლება და მეთვალურემაც დიდი შრომა
გასწია, რაზედაც დიდი მადლობის ღირსია, მაგრამ აქ
რამდენიმე წირია დამნაშავე და სხვა არავინ.

ქართული.

ჭიათურა. როგორც „კვალის“ მკითხველთა ციხის
ჭიათურის უკანასკნელმა შავი-ქვის მწარმოებელთა კრებამ
სხვათა შორის დაადგინა: აკოს მუშათა სადგომი, გახსნას
იაფფასიანი სსადილოები, დაარსოს სკოლები და მათ შორის
საკვირაო სკოლა და სხ. და სხ. ამ დადგენილებიდან
იმავე მწარმოებელთა საბჭოს ჯერ არც ერთი არ მოუ-
ყვანია სისრულეში, დაწვებითაც კი არ დაუწვია და არც
აწირებს მკონი. აკერ ზამთარი დადგა, მუშები კი ისევ
კვლავინდებურათ უბინათ არიან და გვირახებში ცხო-
ვრობენ. ავთიმოფობა მათ შორის დღითი დღე მატუ-
ლობს და სიკვდილიც გასშირდა, აშკარაა ეს შედეგია
მა, ი უბინაობისა. ავთიმოფი მუშის უურის მტლებელი არა-
ვინ არის. როგორც ვიცით ქსენონი ჭიათურაშია, მანდ-
ბიდან 3—7 ვერსტამდე დაშორებული. მუშას არა აქვს
იმდენი შეძლება, რომ თავის ხარჯით მიიწვიოს ექიმი
ან ფერშალი და ამ უკანასკნელთ კი არავინ ავადებს,
რომ გვირახებში კვირაში ერთხელ მაინც დათვალიერონ
მუშები. ნეტავი ვიცოდეთ რისთვის არიან დანიშნული
ექიმი და ფერშლები, იმისთვის რომ ჭიათურაში იცხო-
ვრონ და ჯამატირები იღონ, თუ თვალ-ურე ადევნონ
მუშა ხალხის ჯან-მრთელობას? ჩემი აზრით, საჭიროა
საბჭომ დაავადოს ფერშლებს, მორიგობით კვირაში ერ-
თხელ, სამაღნო ზოლიციის მოხელესთან და სამინისტრო
მზრუნველთან ერთად, დაიარონ ისტეგირახები, სადაც მუ-
შობა წარმოებს, შეკრიბონ ცნობები თუ სად ცხო-
ვრობენ მუშები, ან თუ ავთიმოფობა მივინჯავებს მათ
შორის, დაიარონ აგრეთვე თავლები სადაც ცხოვრო-
ბენ ჩავადრები ცხენებთან ერთად და სადაც აუტანელი
უსუფთაობაა და უვეკლას ეს ცნობები წარუდგინოს ქსენონის
ექიმს. ექიმიც ვადლებული განადონ თვეში ერთხელ და-
ათვალიეროს უვეკლას ზემორე ჩამოთვლილი ადგილები და
შეამოწმოს ფერშლების მოქმედება. — საჭიროა მეტი უ-
რადდება მიექცეს არა ჭიათურას, სადაც გაცილებით
უფრო მდიდარი ხალხი ცხოვრობს, არამედ მანდებს,
სადაც ცხოვრობს უმრავლესობა, სადაც არის ნამდვი-
ლი ძარღვი წარმოებისა. ვისი მოვალეობაა უვეკლას ამავის
ჯეროვანი ურადდება? უეჭველია საბჭოსი. მერე ასრუ-
ლებს საბჭო ამ მოვალეობას? — არა. შარშან სუთასამდე
მუშა ხალხი ამოწვდა ჭიათურაში და წელსაც მისალო-
დნელია იგივე განმეორდეს, თუ საბჭომ ისეთივე უსაქმიან-
ობა გამოიჩინა, როგორც შარშან. ეს კი იყო, რომ შარ-
შან საბჭოს იხიციცივით დაარსდა ჭიათურაში ქსენონი და
საბჭომვე იკისრა სამკითხველად, გამკობა. ვეკობა კარ-
გათ მოაწვობდენ სამკითხველად მარა მოლოდინი გაკვი-
რრუდა; გამოიწერეს ორიოდე ქართულ-რუსული გაზე-
თები და ურნალები და ამით დაასრულეს საქმე! უბრა-
ლო განცხადებაც კი ვერ გამოუკიდა საბჭოს, რომ სა-
ზოგადოებას ამცნოს თუ სად იმყოფება სამკითხველო,
დღეს უმრავლესობამ არც კი იცის თუ ჭიათურაში სამკი-
თხველოა. რუსული გაზეთებიდან სამკითხველო იწერს:

„Нов. Обоз.“, „Тифлисск. Лист.“ და „Сѣв. Кур.“, ხელა „Кавк.“, „С-Пет. Вѣд.“, „Русск. Вѣд.“ ჯერ ქუთაისში იღებს საბჭო, იქ კითხულობენ და შემდეგ, თუ არ დააფიქვლათ, ჭიათურის სამკითხველთ-საც უწვავლობენ ხელა, ერთ-ორი კვირის ნომრებს ერთ-ათ. არ მადის სამკითხველს ისეთი ურუნალები, როგორც არის: „жизнь“ და „Научное Обзорѣн.“ სამაგი-ერათ იწერს; „Нива“-ს, „Вѣстн. Иност. Литер.“ და „Новый журн. Иност. Лит.“ და სხ. დღეს მკითხველთა რიცხვი 10—25-დე აღის. საბჭო რომ გააფართოვებდეს სამკითხველს და მასთან წიგნთ-საცავსაც დაასრულებდეს, მაშინ მკითხველთა რიცხვი ერთი ათათ იმატებს.

ახლა ავიდეთ ქსენონი, რომელიც გააფართოვებს და დიდ-ძალი ფული გადასდეს მის შესახასათ, მარა ქსენონის საქმე ისე არ არის როგორც სსურველია. მთელ ქუთაისის გუბერნიასი იმისთანა საავათმეოფო არ არის, როგორც ბ-ნ ს. თოფურას აქვს ქ. ქუთაისში და იქ თითო ავათმეოფის შენახვა თვიურათ ათ თუმანს არ აღემატება, საბჭოს კი, როგორც ამას წინეთ სხდომასუ აღიარეს, თითო ავათმეოფის შენახვა თვიურათ ოცი თუმანი უჯდება. ამკარას აქ რაღაც მიზეზია, ან საქმის უცდინარობა ან დაუდევრობა. არც ერთი საბჭოს წევრთაგანი ქსენონის მდგომარეობას თვალ-ურეს არ აღეგნებს. განსაკუთრებული სარევიზიო კომიტეტი ხომ არ ვიცით არსებობას თუ არა. სსურველია უფრო მცოდნე ზინს დანიშნავდნ ქსენონის სარევიზიოთ, თორემ ფული ტუილათ იხარჯება და საქმე კი რიგანათ არ მიდის. კერძო ზინს აკრძალული აქვს ქსენონის დათვალიერება, კარებზე შემდეგი განცხადება აქვს გაკრული: „კერძო ზინის შესვლა სსტიკათ აკრძალულია“. როგორც გავიგე ამის მიზეზათ იმას ვსახელებენ, რომ ვითომ გადა-მდელები სენი არ გაგრეტელდეს...

ჭიათურა ისევ ისე უსუფთაობის ბუდეა, როგორც წინეთ იყო, მისი სანიტარული მხრით გაუმჯობესებისათვის არავინ ზრუნავს. რისთვის აძლევენ საბჭო ექიმს განსაკუთრებულ ჯამაგირს? ის ღებულბის თვიურათ ორას მანეთს, ამ ფულიდან 150 მ. როგორც ქსენონის ექიმი და 50 მ. როგორც სსანიტარო ექიმი. მისი მოკვლეობა კვირასი ერთხელ დათვალიეროს სანიტარულ-ჰიგიენური მხრით ჭიათურა და მისი ხელა-მხელა სამრეწველო ადგილები, მოახდინოს განკარგულება სანიტარულათ განსსუფთავებლათ და ყოველივე თავის მოქმედების შესახებ მახსენებით აცნობოს საბჭოს და თუ საჭიროება მოითხოვს დახმარება თხოვოს.

დღეს მუშა ხალხის ცხოვრება ჭიათურის სამრეწველო რაიონში პირუტყვების ცხოვრებას უფრო მოგზგანებს. ისინი მოკლებულნი არიან ყოველსავე ადამიანურ ცხოვრებას და მათ ჰგონიათ, რომ ეს უთუოთ ასე უნდა

იყოს, მუდამ ამ სიბნელეში უნდა იყვნ. ასეთი დასაწყისი საქმე ახარას საბჭოს და ის კი ამაებს ურუნალებსაც არ აქცევს.

ბ. ხ.

ჩვენი სახიობა.

უთუშაბათს, 21 დეკემბერს, ქართულ თეატრში, ქ-ნ საფაროვი-აბაშიძის და ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, ბ-ნ შათირიშვილის საბენეფისოთ წარმოდგენელი იქნა „კანდინალ რიშელიე“, ისტორიული დრამა საფრანგეთის წარსული ცხოვრებიდან. ერთობ მადლობის ღირსია ბ-ნი შათირიშვილი, რომ ასეთი შინაარსიანი პიესა აურჩევია თავის საბენეფისოთ. აი მოკლეთ დედა-აზრი ამ პიესისა: საფრანგეთის ბედ-იღბალს განაგებს კარდინალი რიშელიე (ბ. მესხიშვილი). საფრანგეთს ჰყავს, რასაკვირველია, მეფე ლუი XIII (ბ. მირიანიშვილი) და აგრეთვე სხვა სახელმწიფო პირნი, როგორც გრაფი დე-ბარადას (ბ. გამყრელიძე), მაგრამ ლუი XIII მხოლოთ სახელს ატარებს მეფისას, რაც შეეხება გრაფ დე-ბარადასს, ის ყოველგვარ ღირსებას, რაც კი სახელმწიფო მოღვაწის თვისებას შეადგენს, მოკლებულია. ის არა თუ მდაბალი ქმნილებია, არამედ უნიჭოც, მას ამოქმედებს მხოლოთ ერთათ ერთი წადილი თავისი თავის განდიდებისა, ე. ი. ყოვლად უნიჭო გვამს სწადიან, რომ იგი გახდეს პირველ მინისტრათ, რომ იგი იყოს ქვეყნის გამგე, ერთი სიტვით ის ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ კარდინალ რიშელიე დაღუპოს და მისი ადგილი დაიჭიროს. მაგრამ გრაფს ავიწყდება, რომ ამას ის ვერ შეძლებს, და ვერ შეძლებს იმიტომ, რომ ის რიშელიე არ არის. და მართლაც ვინ არის რიშელიე? მართალია, ერთი შეხედვით, გეგონებათ, რომ ამასაც თავის-თავის განდიდების მეტი არა ამოძრავებს-რაო, მაგრამ ეს შეცდომაა. თუ მან თავისი სამშობლოს აწეწილდაწეწილი საქმეები გაასწორა, თუ მან დასუსტებული და დაუძღურებული ქვეყნიდან შექმნა ძლიერი სახელმწიფო, თუ იგი იმავე დროს გახდა პირველი კაცი არა თუ თავის სამშობლოში, არამედ მოელ მაშინდელ ევროპაშიც, თუ მას მეფე ლუი XIV-ზე უფრო შეეძლო ეთქვა: სახელწიფო მე ვარო, ეს არა იმიტომ მხოლოთ, რომ მას თავისი თავის განდიდება ეწადა, არა იმიტომ მხოლოთ, რომ მას პირველობა უნდოდა. არა, არა და არა. როგორი სასტიკი, შეუბრალებელი და შურის მიძიებელიც უნდა ყოფილიყო კარდინალი რიშე-

ლიე, ამით ის ვერ მიუახლოვდებოდა იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობასაც მან მიაღწია. ამისთვის საჭირო იყო კიდევ ის შესანიშნავი ნიჭი, გამჭრიახობა და შორს-მხედველობა, რომლებითაც რიშელიე უხვათ იყო დაჯილდოვებული ბუნებისაგან და უწინარეს ყოვლისა ის უზომო სიყვარული სამშობლოსადმი, რომელიც მის გულში ღვიოდა. ყოველსავე ამას კი მოკლებული იყვენ ისინი, ვისაც სურდა მისი დამხობა და ამიტომაც იმათ, თვით რიშელიეს სიტყვისა არ იყოს, სასტიკათ წააგეს თამაში. პიესა იწყება იმით, რომ გრაფ დე-ბარადასის სახლში ყრილობაა, სადაც სხვათა შორის არიან ორლეანის ჰერცოგი გასტონ, ძმა მეფე ლუი XIII (ბ. სვიმონიძე) და კავალერი დე-მოპრა (ბ. შათირიშვილი). ჰერცოგი ღ გრაფი ლაპარაკობენ იმაზე, ვთუ როგორ გამოასალმონ სიცოცხლეს კარდინალი, რის შემდეგ პირველი მინისტრობა დარჩება გრაფს და სამეფო ტახტი კი ჰერცოგს. აქ დე-ბარადასის დაუწყებს საუბარს დე-მოპრას, რომელიც ცნობილია სიმამაცით და ვაჟაკობით და რომელსაც რიშელიემ ერთი ქალაქის მისდა დაუკითხავათ აღებისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ შემდეგ აბატივა. დე-ბარადასის აქეზებს დე-მოპრას, რომ ამ უკანასკნელმა მოჰკლას რიშელიე. ამისათვის ბარადასი აბამს ქსელს, რომელშიაც ბოლოს თითონ ვარდება. საქმე იმაშია, რომ რიშელიეს ჰყავს ერთი ობოლი ქალი იულია დე-მოარებიერი (ქ. კარგარეთელი), რომელიც უზომოთ უყვარს დე-მოპრას; მაგრამ ეს ქალივე უყვარს იმავე დროს თვით მეფეს, და კიდევ გრაფ დე-მოპრასაც; თითონ ქალს მხოლოდ დე-მოპრა უყვარს. რიშელიეს სურს, რომ ეს ქალი, რომელიც ლამაზიც არის და მდიდარიც, შერთოს თავისთვის სასარგებლო კაცს. დე-მოპრასთან ლაპარაკის დროს რწმუნდება, რომ ასეთი კაცი მხოლოდ ის არის, ამიტომ იმას აძლევს ცოლათ იულიას. როცა ამას ტყობილობს მეფე, საშინლათ ჯავრ მოსდის კარდინალზე. იულიას იბარებენ მეფის სასახლეში და იქ ამწყვდევენ. ამ შემთხვევით სარგებლობენ კარდინალის მტრები; დე-მოპრას ჩააგონებენ, რომ ყოველივე ეს კარდინალმა გამოიგონა შენ დასამცირებლათო; დე-მოპრა მართლაც რწმუნდება, რომ მას შეურაცყოფა მიაყენა კარდინალმა და ფიცს დებს შური იძიოს. ის მიდის კარდინალის მოსაკლავათ მისსავე სასახლეში. კარდინალს ჰყავს თავის მომხრენი, და ამათ შორის იოსებ დომონიკელი (ბ. გედევანოვი) და ფრანსუა აფიცერი (ქ. ტ. აბაშიძე); ამათი შემწეობით და აგრეთვე მარიონ დელორმის (ქ. საფაროვი-აბაშიძე) ნაამბობიდან, ის ტყობილობს, რომ მის მოსაკ-

ლავათ შეთქმულობაა. ამის წინააღმდეგ ის ღებულობს ზომებს, მაგრამ მაინც გამოუთქმელ შიშს ვერძევა, რადგანაც იცის, რომ არაჰყავს ისეთ მეგობარი, რომელსაც შეეძლოს მისთვის თავი გაწირვა. იგი არ დაინდო თვით მისმა სასახლის კეცმა; ამ უკანასკნელმა შეიყენა მის ოთახში დე-მოპრა, რომელსაც მისი მოკვლა უნდოდა. სცენა; სადაც დე-მოპრას კარდინალის მოკვლა სურს, და აგრეთვე შემდეგი სცენა, სადაც ტყობილობენ, რომ რიშელიე კიდევ ცოცხალია, და ბოლოს უკანასკნელი სცენა, სადაც მელანდება რიშელიეს მოწინააღმდეგეთა განზრახვა და სადაც რიშელიე იმარჯვებს საბოლოოდ თავის მტრებზე, ყველა ეს სცენები გამოუთქმელ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე. თქვენ ცოცხლათ და ცხადათ ხედავთ, რომ ყოვლის შემძლე რიშელიე ზეზეურათ იბრწუნება, როცა ხედავს, რომ მას პირველი მინისტრობა უნდა ჩამოერთვას. ის თავისი თვალებით ხედავს თავის სიკვდილს და მხოლოდ იმიტომ სწუხს, რომ უდროვოდ კვდება, როცა სამშობლოს კიდევ ესაჭიროება მისი სამსახური. მაგრამ როცა თავისი მდგომარეობა და ძლიერება მას სრულიად მოულოდნელათ ხელ-ახლა უბრუნდება, ის, უკვე მომაკვდავი, წამოვარდება ზეზე და მეფის სიტყვებზე: სად იქნებიან ერთი კვირის შემდეგ ისპანიელები, რომლებიც ღალატით მოწვეულ იქმნენ ჩემ მოწინააღმდეგეთაგანო, ღომებრ შესძახებს: აქ, ჩემ ფეხ ქვეშო! და თქვენ თვალს წინ იგივე წინანდელი რიშელიე, ყოვლის შემძლე რიშელიე დგას. სამწუხაროთ აქ არ შეიძლება უფრო დაწვრილებით გადმოცემა ამ ისტორიული გმირის მოქმედებისა, ისე როგორც ეს თვით პიესაშია. ბ-ნი ვ. ალექსი მესხიშვილი იყო შეუღარბელი თავის როლში. მაყურებლებს მან დაგვიხატა ჩვენის აზრით ნამდვილი კარდინალ რიშელიე. საუცხოვო იყო აგრეთვე ბ-ნი გედევანოვიც— იოსებ დომონიკელის როლში; ჩვენი აზრით ეს არტისტი შეუღარბელია ასეთ როლებში. არა უშავდა თვით მობენევისეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ის თავის ადგილზე ვერ იყო. რაც შეეხება ქ-ნ ტ. აბაშიძეს, მისი თამაშობა მოსაწონი იყო. ქ-ნი საფაროვი-აბაშიძე სცენაზე თითქმის არა ჩანდა. დანარჩენ არტისტების თამაშობა ჩვეულებრივი იყო, შუათანა; მხოლოდ ბ. ურუშაძე სრულებით შეუხამებელ როლში იყო: თქვენ წინ დგას ბასტილიის ციხე, ის ციხე, რომლის ერთი მოგონება ჟრუანტელს გვრის ადამიანს და მის ზედამხედველათ გამოდის ერთი საწყალი ადამიანი. ეს რეჟი-

სორის ბრალია. დასასრულ უნდა აღვნიშნო ერთი სამწუხარო გარემოება: არ ვიცი როლების უცოდინარობის ბრალი იყო თუ სხვა რამის, მხოლოდ მოთამაშეთა უმეტესი ნაწილი ქართულ სიტყვებს ამახინჯებდნენ, მართლათ ვერ ლაპარაკობდნენ. ასე გეგონებოდათ, მოთამაშენი ქართველები კი არ არიან, არამედ უცხოელები. სამწუხარო ის არის, რომ ეს მართლ ამ წარმოდგენაზე არ ყოფილა ასე. ვისაც აქვს სმენა ისმინონ: ქართული სცენის არტისტს რომ ქართული ლაპარაკი ეძნელებოდეს, ეს ფრიად ცუდი მოვლენაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

„**სვალის**“ ჟუანასკნელ ნომერში მოთავსებულ სტატიას—„პატარა პასუხი დიდ კითხვაზე“—არ დაუკმაყოფილებია „ცნობის ფურცელი“. მოჰყავს რა ამ წერილიდან ორიოდ სტრიქონი, სწერს:

„შორს მყოფ ქართველის კითხვას, ჩვენის მიხედვით, სხვა გვარი პასუხი უნდოდა ბ-ნ ნოე ჟორდანიასგან, და აი რატომ ვფიქრობთ ამას: გაზეთი „კვალი“ და მისი თანამშრომელი, როგორც თვითონ ირწმუნებიან, უნდა აღიარებდნენ ისეთ სოციალოგიურ მოძღვრებას, რომლის მიხედვით კაცობრიობის ისტორია მხოლოდ კლასთა ბრძოლა და სხვა არაფერი. უთუოდ ეს გარემოება ჰქონდა სახეში (?) დამკითხველს და, მართლაც, სახეში მისაღებიც არის. დიად, ერი არსებობს, იგი სცდილობს გაიზარდოს, გამაგრდეს და ცხოვრების ასპარეზზე შესაფერი ალაგი მოიპოვოს; მაგრამ ამ მისწრაფებას, ინსტიქტიურია იგი თუ შეგნებულად, წინ ეღობება ბევრი რამ ხელის შემშლელი და ამ ბევრ რამეში ერთი უმთავრესთაგანია მეორე ერის მისწრაფება ამგვარივე მიზნისაკენ. წარსული ისტორია დაწმყო მდგომარეობა უეჭველი საბუთია ერთა ინტერესების შეჯახებისა და მათ შორის განუწყვეტელი ბრძოლისა და ჭიდილისა. ამას, მეო-ნი, ვერ უარჰყოფს ჰეგელის დიალექტიკის მიმდევარიც. ერთი სიტყვით, არსებობდა და არსებობს საერთაშორისო ბრძოლა. ბ. ჟორდანიას უნდა მიეჭკიცია ყურადღება იმისთვის, თუ რამდენად ეთანხმება მის მიერ აღიარებული სოციალოგიური მოძღვრება ამ ფაქტს. ის კი გვერდს უვლის (!) ამას და უმნიშვნელო (?) ზოგადი ხასიათის ფრაზებით (!) იძლევა პასუხს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შორს-მყოფი კორესპონდენტიც სხვა გვარ პასუხს მოელოდა.“

აქ როგორც ხედავთ, ორ რამეს უსაყვედურებენ ჩვენ გაზეთს, ერთი რომ წერილის მომწერს უთუოთ სხვა გვარი პასუხი უნდოდაო. მეორე, ამ კითხვისათვის კლასთა ბრძოლის პრინციპით არ შეგიხედავსო. პირველი საყვედური უბრალო გულთმისნობაა, რანაირი პასუხი სურდა წერილის მომწერს ჩვენ უფრო კარგათ უნდა გვეცოდნოდა, ვინემ „ცნობის ფურცელს“, რადგანაც წერილი ჩვენ მოგვივიდა და არა მას. ავტორმა ნათლათ გაგვა-

გებია რაც სურდა და საიდან იცის „ცნობის ფურცელი“ ამ კერძო წერილის შინაარსი ალანმა უწყის. მეორე საყვედური კი არა არის-რა გარდა იმისა, რომ რატომ შენ პლანზე დასწერე წერილი და არა ჩემ პლანზეო. ყოველი პლანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანი აქვს მის შემდგენელს. და აი სწორეთ „პატარა პასუხის“ მიზანი იყო დაერღვია ის, ერთობ გავრცელებული, შეხედულობა, რომ ვითომ საკმარისია ერთი-ორი მუხრუჭი, ერის გადასავარებლათ და მისი პირადობის მოსასპობათ. ასეთი აზრი ბადებს პესიმისმს და სასოწარკვეთილებას. წინააღმდეგ ამ უტოპიური მოსაზრებისა, წერილი აღიარებს ერის ბუნებრივობას, მის აუცილებელ ცხოველმყოფლობას და სხ. და სხ. ეს ადგილები, რომ „ცნობ. ფურც.“ ამოეწერა, მაშინ მისი მკითხველიც დაინახავდა რასაც ვწერდით, ახლა კი ის რედაქციას უნდა ენდოს და მასთან ერთათ თქვას ფრაზები დაუწერილაო. ეს ვერ არის ლიტერატურული რიგიანობა. რაც შეეხება „კლასთა ბრძოლას“, „საერთა-შორისო ბრძოლას“, წარსულს ისტორიას და აწმყო მდგომარეობას“ და სხ. — ყველა ამის ამ პატარა წერილში მოთავსება დამხალის შარაზე გამოტანა იქნებებოდა. ყველა ამის შესახებ ჩვენ თანამშრომელს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი, როგორც „კვალში“, ისე სხვაგან და იმედია რამდენადაც შეიძლება კიდევ გამოთქვამს.

ქართველ მიწის-მშობელთა მიმართ.

თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში, ყოველი ხალხი, არამც თუ დიდი სახელმწიფოისა, არამედ პატარასიც, რომელსაც ასე თუ ისე კულტურაში ფეხი მოუკიდია, რაიმე გარკვეულ გზაზე დამდგარა და მასზე თამამათ მიექანება, ამ მოძრაობის მთავარ იარაღათ თავის თავის ცნობა, თავის თავის გამორკვევა გაუხდია. უამისოთ არავითარი წინ მსვლელი არაა შეიძლება. ჩვენ კი ეს მიუცილებელი საჭიროება უყურადღებოთ გვჩვენება. ჩვენი ცხოვრება ვერ გამოგვირკვევია და არც ვცდილობთ გამოვარკვიოთ; ჩვენ არ ვიცით რა ხდება ჩვენ გარშემო, ჩვენ ცხვირს დაბლა ვერაფერს ვამჩნევთ; ერთ ქალაქში მცხოვრებლებმა არ იციან რა ხდება მეორე ქალაქში, ამათ არ უწყიან რა ხდება სხვა პროვინციებში, მაგალითათ სვანეთის, ქიზიყის, ხევსურეთის და სხვა მიყრუებულ ჩვენი ქვეყნის კუთხეებში. ჩვენ ერთმანეთზე დიდათ დაშორებულნი ვართ და დაახლოვებაც ვერ მოგვიხერხებია. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ვისაც

უნდა პატიოსანი მოღვაწის სახელი მოიხვეჭოს, საჭიროა ჩვენი ხალხის ცხოვრება გამოარკვიოს, მისი მაჯის-ცემა შეიტყოს და როგორც კარგი ხირურგი ჯერ მავნე, დამბალი ხორცი მოაშოროს და მერე მაღამო მოსცხოს, ამისათვის საჭიროა ხალთან დაახლოვება. ამ ნიადაგზე მოქმედება, როგორც ჩვენ გვგონია, ყოველ ინტელიგენტს შეუძლია, თუ იმას გარემოებას ხელს შეუწყობს და მისი სურვილიც იქნება; მაგრამ არ შეგვიძლია ჩვენ აქ არა ვთქვათ, რომ არც ერთს ისე ყოველმხრივ და ზედ-მიწევნით არ შეუძლია შეისწავლოს ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხის ხალხის ქირ-ვა-რამი, როგორც ერთ წოდებას—მიწათ-მზომელთა („ზემლემერთა“) კორპორაციას; ამათ დიდი სარბიელი ეშლებათ ამ მხრივ მოქმედებისათვის. მართლაც, ახლა, როდესაც მიწათა-გამიჯვნამ თანამედროვე ცხოვრების სოციალურ კითხვათა შორის ერთი უპირველესი ალაგი დაიჭირა, როდესაც ის მართებლობამაც და საზოგადოებამაც ერთ დიდ ეკონომიურ ფაქტორათ აღიარა, როდესაც ახლა მიწათ-მზომელთა კორპორაციას საკმაო განათლებით აღჭურვილნი პატიოსანი მუშები შეადგენენ, რომელნიც ყოველ ზაფხულობით მაისიდან დაწყებული ვიდრე ნოემბრამდის ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს მოედებიან სამიჯვნელათ, რაღა თქმა უნდა, მხოლოთ ამათ შეუძლიათ უფრო ამ ასპარეზზე მოქმედება, მხოლოთ ამათ ეშლებათ ფართო სარბიელი მოქმედებისა ამ ნიადაგზე. დიად, ამათ შეუძლიანთ ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულება, მიწათ-მფლობელობა, ეკონომიური მდგომარეობა და სხ. და სხ. შეისწავლონ და თავისი შაბბეჭდილებანი საზოგადოებას გაუზიარონ. ამნაირათ, ჩვენი აზრით, თითო მათგანი დიდ მასალას მისცემს ყოველნაირ გამოკვლევებს: ისტორიისას, სტატისტიკისას, ეკონომიისას, გეოგრაფიისას და თუნდა არხეოლოგიისას; ერთი სიტყვით თუ ვისმე ამათგანს უნდა საზოგადო ან სამეცნიერო საღაროში თავისი წვლილი შეიტანოს, ამნაირათ მოქმედებით დიდ სარგებლობას მოუტანს თავის ქვეყნას. (Землемръ—бытописатель народа¹⁾). ეს ჩვენი აზრი შეგვიძლია დავასაბუთოთ ეკატერინა II ებოქის მიწათა გამიჯვნის ისტორიიდან. როდესაც ეკატერინე II-მ პირველი ინსტრუქცია გამოსცა მიწათა-გამიჯვნის შესახებ (1765 წელსა), მაშინ ყველა მიწათ-მზომლებს დაევალით გამიჯვნის დროს სხვა წიგნებს გარდა შეედგინათ „ეკონომიური სხოლიები (экономическія примѣ-

нанія), რომელშიაც სხვათა შორის იწერებოდა რაც ღირს-შესანიშნავი იყო იმ რაიონში, სადაც მიწათა გამიჯვნა ხდებოდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიური მხრით²⁾. დღეს ეს „ეკონომიური სხოლიები“ დიდ განძს შეადგენენ სამიჯნაო კანცელარიის არხივისას ქ. მოსკოვში. აი ასე იყო 100 წლის წინეთ რუსეთში. თუ ეს ასე იყო მაშინ, ნუ თუ ახლა არ შეგვიძლია ჩვენც აგრეთვე მოვიქცეთ? ახლა, როდესაც ჩვენში ცხოვრება უფრო გართულებულია, როდესაც სამიჯნაო ტექნიკის მეცნიერებამ უმწერყალესამდე მიადწია და ახლა უფრო ტეორეტიულათ და პრაქტიკულათ მომზადებული ტექნიკები გვყავს, ვიდრე მაშინ რუსეთში იყო? დიან, ეს ყველაფერი შეიძლება, მხოლოთ გვინდა მეტი სურვილი, მეტი ენერგია, შრომის მოყვარეობა, თვით-ცნობიერება და ერთობა. ამისათვის მიემართავთ ჩვენ ქართველ თანამომქმეთ (მიწათ-მზომელთ) ყველა უწყებებში მოსამსახურეთ, რათა მათ ყოველ ზაფხულობით გამიჯვნის დროს შეკრიბონ ყოველნაირი ცნობები თავ-თავის სამიჯნაო რაიონში და გაუზიარონ ისინი საზოგადოებას. აქ თითქმის მცირე შენიშვნასაც თავისი მნიშვნელობა ექნება. ამნაირათ ისინი უფრო საპატრო ალაგს დაიჭერენ, როგორც საზოგადოებაში, ისე რომელიმე სამეცნიერო გამოკვლევაში. ამით ისინი მოიხვეჭენ იმ ავტორიტეტს, როგორიც ამ წოდებას (გეომეტრებს) ჰქონდათ, არამც თუ თანამედროვე განათლებულ ქვეყნებში, უძველეს დროშიც. უძველეს ეგვიპტეში და საბერძნეთში მიწათ-მზომელთა ხელობას პირველი ალაგი ეჭირა³⁾. ტყუილათ კი არ დააწერა ფილოსოფოსმა პლატონმა სკოლის კარებზე: Nemo geometriae ignarus ingrediatur⁴⁾. (ვინც გეომეტრია არ იცის—ვერ შემოვა).

მაშ ვისურვებთ, რომ ჩვენი სიტყვა არ დარჩენილიყოს „სიტყვათ მლაღადებელისა (უღაბნოსა შინა“.

ივ. მექმარიაშვილი.

²⁾ Значеніе Межевыхъ техникувъ въ собираніи статистическихъ данныхъ—Межевой „Вѣстникъ“ за 1888 г. № 5.

³⁾ ივ. Вольфъ. Лекціи по исторіи практической геометріи (геодзети), читанныя на съѣздѣ нѣмецкихъ геометровъ; переводъ Афанасьева.

⁴⁾ იქვე.

¹⁾ Малиновскій. Историческій взглядъ на межеваніе земель въ Россіи до 1765 г.



M. ...



ხ ს მ ვ ნ ა

(დასასრული*)



ართლაც ყოველ დღე ხელავდენ ერთმანეთს ახალგაზდა ქალ-ვაჟი; პლატონმა დაივიწყა დედ-მამა, დაივიწყა სოფლის დანარჩენი ახალგაზდობა, დაივიწყა დიდი მუხა, რომლის ძირშიც უწინ ისეთ მხიარულ საღამოებს ატარებდა; ყველა მისი ფიქრები, ყველა ოცნებები მულამ იმ წუთისკენ მიისწრაფოდნენ, როდესაც თეკლას ნახავდა, მის ხმას გაიგონებდა, მის დიდ

მუქ-ლურჯ თვალებში სიამოვნებას ამოიკითხავდა, მეგობრის მოსვლით გამოწვეულ სიამოვნებას მთელი მისი არსება—ამ ბედნიერი წუთების მოლოდინში იყო; რა ბედნიერი იყო ხოლმე პლატონი, როცა მათ განიერ აივანზე, მთლათ ყვავილებით და მწვანეულობით შემკულზე, საღამოებით თეკლას ხელით დასხმულ ჩაის სვამდა! რა მშვენიერ საღამოებს ატარებდნენ სამივე, პლატონი, თეკლა და მამა მისი, ბაღში, დიდ, ყურძნის ვაზებით კედლებს დამშვენებულ პავილიონში... მხოლოდ ერთი რამ უწამლავდა პლატონს ამ საღამოებს; ეს ის სიყვარულთან შეზავებული რაღაც უზომო მწუხარება, რომელიც თეკლას მამის თვალებში იხატებოდა, როცა ის დაკვირვებით, დაფიქრებით ადევნებდა თვალ-ყურს თავის ქალის ყოველ მიმოხერას, სახის ყოველ გამომეტყველებას... თითონაც არ იცოდა რათ, პლატონი, როცა კი ამ გამომეტყველებას შენიშნავდა თეკლას მამის თვალებში, თითონაც იგრძნობდა, რომ მის თვალებში გამოასახული მწუხარება მასაც ეპატრონება და გულს უხუთავს, სულის მითქმას უშლის... მაგრამ ყველა ეს ავიწყდებოდა მაშინ, როცა ორივე ახალგაზდა ქალ-ვაჟი იქ, ძველ ეკლესიის გვერდში იყვნენ ხოლმე; ეს ადგილი ყველაზე უფრო შეუყვარდათ: ხშირათ მიდიოდნენ იქ, ხან-და-ხან წიგნსაც წაიღებდნენ, რომელსაც პლატონი ხმა მალდა კითხულობდა ხოლმე. მაგრამ კიდევ უფრო ხშირათ დროს დაუსრულებელ ლაპარაკში ატარებდნენ ხოლმე; თეკლა ერთ და ერთ სასაფლაოს ქვაზე ჩამოჯდებოდა, პლატონი მის ფეხთით მწვანეზე გაიშხლართებოდა და ისინი ლაპარაკობდნენ, ან და ჩუმათ ტკბებოდნენ ბუნების სიმშვენიერით და კიდევ უფ-

რო—ერთმანეთის სიახლოვით, ერთმანეთის სიყვარულით; პლატონი ხშირათ უყვებოდა თეკლას, რას მოელოდა უნივერსიტეტისაგან, რა პლანები ჰქონდა ცხოვრებაზე, რის გაკეთებას აპირებდა, რის ასრულებაზე ოცნებობდა... გულ-მოდგინეთ, ხმა ამოუღებლათ უგდებდა ხოლმე მას ყურს თეკლა, თუმცა ხან-და-ხან, მის ფართოთ გახელილ ლურჯ თვალებში, რაღაც გამოურკვეველი სევდა გამოიხატებოდა ხოლმე; სიყვარულზე პლატონს მისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს; რა საჭირო იყო ლაპარაკი, როცა ისეც, თავის თავათაც ცხადი იყო, რომ როცა პლატონი კურსს დაასრულებდა, ისინი ცოლი და ქმარი გახდებოდნენ! განა უზომო სიყვარული არ გამოკრთოდა ორივეს დიდ, ერთის ლურჯ და მეორის შავ თვალებში, განა იგივე სიყვარული არ ეფინებოდა ორივე სახეებს, როცა ერთათ იყვნენ, განა იგივე სიყვარული არ გამოისმოდა ყოველ წამს მათ ხმაში? არა, სიტყვები სულ, სულ არ იყო საჭირო!

— იცი, პლატონ, დედაჩემი ქლექით მოკვდა! უთხრა ერთხელ თეკლამ პლატონს და რაღაც დაღონებით გაიხედა ჯანზე.

პლატონს გული მოუსვენრათ აუძგერდა. —გაცივდა სადმე? ვითომ და დამშვიდებით იკითხა მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— არ გაცივებულა... მემკვიდრეობითი ქლექი ჰქონდა...

ნუ თუ, ნუ თუ თუ თეკლას ფერმკრთალობა, სისუსტე, მისი ჩავარდნილი თვალები... არა, არა, შეუძლებელია, შეუძლებელი! ეს უსამართლობა, ეს უღვთობა იქნებოდა! მაგრამ... მაგრამ ახლა კიდევ უფრო მწვავე მწუხარება უხუთავდა გულს, როცა შენიშნავდა, როგორ აკვირდებოდა, უვლიდა და უფრთხილდებოდა მამა თავის ქალიშვილს, როგორი სევდით საყსე თვალებით მიჩერებოდა მას... რა წვრილი თითები ჰქონდა ახალგაზდა ქალს! პლატონი რომ მას ხელში ხელს მოჰკიდებდა, ყოველთვის ის აზრი გაუელვებდა თავში, ვაი თუ საწყალი ნაზი თითები კიდევ გადატყდენო...

ნუ თუ, ნუ თუ მამა ფიქრობდა, რომ იმავე სენს, რომელმაც ცოლი მოსტაცა, შეუძლია ქალიც ხელიდან გამოაცალოს? არა, არა, ეს შეუძლებელია. ამაზე არ უნდა იფიქროს არც მამამ და არც თვით თეკლამ... და შენიშნავდა თუ არა, თეკლა რაღაცაზე დაფიქრებულაო, პლატონი მაშინვე ცდილობდა გაემხიარულებინა ის, ცდილობდა მის საყვარელ სახეზე ღამილი გამოეწვია... და პლატონის ცდა ტყუილათ არაოდეს არ ჩაივლიდა; ფერმკრთალ სახეს მთლათ გაანათებდა ხოლმე

*) იხ. „ვეალი“ № 51.

მხიარული ღიმილი, ღიმილი, რომელიც თხელ ტუჩებზე ათამაშდებოდა, რომელიც დიდ, მუქ-ლურჯ თვალებიდან ელვარებას დაიწყებდა...

— რატომ არ გინდათ აქაური ახალგაზღობა გაიცნოთ? მაშინ უფრო გამხიარულდებოდით, უფრო სიამოვნებით გაატარებდით დროს! — უთხრა ერთხელ პლატონმა თეკლას, როცა სეირნობის შემდეგ ისინი ვიწრო ბილიკით მთა მთა მიდიოდნენ და ძირს, ტოტებ გაშლილ მუხას ქვეშ, დიდ მწვანე ველზე მოთამაშე ქალ-ვაჟი დაინახეს.

თეკლა შეჩერდა და ძირს გადაიხედა. ხელში მას ყვავილების დიდი თაიგული ეჭირა, წაბლის ფერ თმას ზაფხულის სიო უთამაშებდა.

— არა, მე არ მებნობს მათთან თამაში! — მიუგო მან და ცოტათი გაიღიმა. — პატარაობისასაც არ მიყვარდა ბევრი ამხანაგები და მათში თამაში და ხმაურობა... ნამეტანი ვიღალვებოდი ხოლმე, ახლა კი...

— ახლა კი, რასაკვირველია, სიბერის ჟამს, სულ შეგძულდათ, არა? — მხიარულათ ჰკითხა პლატონმა, რომელსაც უნდოდა გაექარვებინა ის მწუხარება, რომელიც ამ წამს მოთამაშე ახალგაზღობაზე მიპყრობილ ქალის დიდ თვალებში გამოიხატა.

— თქვენ კი, თქვენ რატომ არ ერევით მათში? თქვენც საბერის ჟამმა მოგიწიათ? — მხიარულათ ჰკითხა თეკლამაც.

— იმიტომ რომ... მარტო თქვენთან ყოფნის დროს ვარ ბედნიერი! თავისთავისთვისაც მოულოდნელათ უპასუხა პლატონმა.

რა სიყვარულით, რა მადლობით შეხედეს მას ლურჯმა თვალებმა!

აი, კიდევ სურათი. პლატონი და თეკლა მოჩუხჩუხე ანკარა წყლის პირს ზიან მწვანეზე გაშლილ დიდ პლედზე. ორივე გაჩუმებული არიან, დიდი ხანი არ არის, რაც პლატონმა ხმა მალლა კითხვას თავი დაანება და სენკევიჩის „*quo vadis*“ განზე გადადვა.

— როგორ უყვარდა „ვინიცის“ ლიგია! — ნელი ხმით წაილაპარაკა თეკლამ, რომელსაც ქვებზე მიჩუხჩუხე ანკარა წყლისათვის მიეპყრო დაფიქრებული თვალები.

პლატონმა არა უპასუხა რა, მხოლოდ პლედზე დადებულ მის წვრილ გამხდარ ხელს თავისი ხელი გადაათარა.

— იცი, რას ვფიქრობ, პლატონ!.. ისევ იმ კილოთი განაგრძო თეკლამ და ისევ ისე ყურადღებით დაჩერებოდა წყალს. — ნუ თუ მერე, როცა მათ ერთმანეთი შეერთეს, ისინიც ისე ცხოვრობდნენ, როგორც საზოგადოთ ცოლ-ქმარი? ნუ თუ ისინიც ჩხუბობდნენ, ერთი მეორის ჯინაზე იქცეოდნენ?..

— არა, იმათ ხომ სიყვარულით შეერთეს ერთმანეთი! — მიუგო პლატონმა და მისი ხელი ხელში აიღო.

— ბევრი, უმეტესი ნაწილი სიყვარულით ერთმანეთს ცოლს და თხოვდება, მაგრამ მაინც მერე, რამდენსამე წელს შემდეგ, სიყვარული სადღაც ჰქრება... მე ხშირათ ვცდილობ ხოლმე წარმოვიდგინო, როგორ უწყრებოდა ვინიცის ლიგიას, როცა სადილათ გაცივებულ სუბს მიაერთმევედნენ, ან და მრეცხელი თავის დროზე სარეცხს არ მოუტანდა... — იმავე ნელი ხმით ლაპარაკობდა თეკლა და ახლა იქით, შორს, შორს საითკენღაც გაიყურებოდა...

თეკლა რომ შეერთო, ნუ თუ მასაც ისე შეეჩვეოდა პლატონი, როგორც ლიზიკოს, ნუ თუ მასაც როდისმე ჩხუბს დაუწყებდა?

არა! არა! მაგრამ... თუ ეს ასე იქნებოდა, თუ ეს აუცილებელი იყო, სწორეთ მართალი იყო თეკლა, როცა მაშინ, იქვე, იმ ქვებზე მოჩუხჩუხე ანკარა წყლის პირას მხარზე თავი მიადვა პლატონს და წყნარათ, გარკვევით, დაფიქრებით უთხრა:

— ხშირათ მე მგონია, რომ როცა ახალგაზღობა კაცი და ახალგაზღობა ქალი ერთმანეთს შეიყვარებენ, ჯვარი არაფრის გულისათვის არ უნდა დაიწერონ; არ უნდა წაახდინონ, არ უნდა დაამდაბლონ და გააფუჭონ თავისი პოეტური სიყვარული იმ ყოველ-დღიური წვრილმანი უსიამოვნობით, უთანხმოებით და უკმაყოფილებით, რომელიც ერთათ ცხოვრების დროს აუცილებელია და რომელიც, ადრე თუ გვიან, ბოლოს უღებს, აქარწყლებს ყოველ სიყვარულს, რაც უნდა ნაზი და წმინდა ყოფილიყო ის პირველში... არა, სიყვარული ცალკე უნდა იყოს, ცოლ-ქმრობა კი — ცალკეა!

— აბა შენი ფიქრით კაცმა ისეთი ქალი უნდა შეერთოს, რომელიც არ უყვარს, გულში კი მეორის სიყვარული უნდა ჰქონდეს, არა? — ღიმილით ჰკითხა პლატონმა.

— ჰო, ხან-და-ხან აგრე მგონია! — თავი დაუქნია თეკლამ. — მაშინ სიყვარული, წმინდა პოეტური სიყვარული სამუდამოთ დარჩება, იმას ვედარაფერი გააქარწყლებს, ვედარაფერი მოუღებს ბოლოს.

პლატონმა გაიცინა და არაფერი უპასუხა. მაშინ მას ეს მშვენიერ ბოდვათ მოეჩვენა, მშვენიერათ, რადგანაც ყველაფერი, რაც კი თეკლასთან მოდიოდა, მას მშვენიერებათ ეჩვენებოდა...

— ხომ კარგათ გავატარეთ ეს ზაფხული? — ჰკითხა ერთხელ აგვისტოს შუა რიცხვებში თეკლამ პლატონს, როდესაც ორივე ყურძნის ვაზებით

კედლებ დაშვენიებულ პატარა პავილიონში იჯდენ.
 კარგათი პლატონს არც კი ახსოვდა, ამ ზაფხულის დაწყებამდის ცხოვრობდა თუ არა, ვერც კი წარმოედგინა, ამ ზაფხულს იქით როგორღა იცხოვრებდა; ყველა ის, რაც კი რამ ვგრძნო, ფიქრნა, გამოეცაღნა თავის ოცი წლის სიცოცხლეში—მისი აზრით ამ ერთ მოკლე, მშვენიერ, მომხიბლავ ზაფხულში იყო მოთავსებული.

— კარგი ხსოვნა დაგვრჩება ამ ზაფხულის... ცოტა ხანს იქით დაუშაბა მან.

— კარგი, პოეტური, მომხიბლავი ხსოვნა!— გულწრფელად წამოიძახა პლატონმა.

— პოეტური ხსოვნა...—დაფიქრებით გაიმეორა თეკლამ.—ჰო, მე მინდა, რომ შენ გულში პოეტური ხსოვნა დავტოვო;—და მისმა დიდმა, მუქმა ლურჯ თვალებმა რაღაც გამოურკვეველი მწუხარე გამომეტყველება მიიღეს.

— ხსოვნა?—შეკრთა პლატონი,—როგორ თუ ხსოვნა?

— აბა იქ, რუსეთში, ჩემ დავიწყებას აპირებთ, ბატონო?—უცებ შეცვალა კილო და სახე თეკლამ, და მერე მხიარულათ დაუმატა თითის ქნევით:— მე გიკრძალავთ მაგას, გესმით თუ არა, გიკრძალავთ!

დავიწყება! განა შესაძლებელი იყო მისი დავიწყება? აი, ახლაც, 9 წლის შემდეგაც, პლატონს თვალებზე ცრემლები ადგება, გული ნაზი თანაგრძნობით, უზომო სიყვარულით, მწვავე მწუხარებით უკვნესის, უკანასკნელი სურათი რომ აგონდება; დედ-მამას რომ გამოეთხოვა, ის თეკლას სახლს მიუახლოვდა ცხენით, თეკლა აივანზე დახვდა; ჩვეულებრივზე ფერმკრთალი, ჩვეულებრივზე გამხდარი ეჩვენა; მან ღიმილით გაუშვირა პლატონს ხელი, რომელსაც ეს მხურვალეთ დაეკონა, ღიმილით, თუმცა მის დიდ თვალებში, თითქმის ცრემლებიც კი ეღვარებდენ...

— თეკლა, წერილებს, წერილებს ხომ მომწერ ხოლმე?—აქანკალებული ხმით ჰკითხავდა პლატონი, რომელსაც ეშინოდა, აქვე, თეკლას წინ, პატარა ბავშვივით არ ავტირდყო.

თეკლამ თავი დაუქნია, სიტყვის თქმა აღარ შეეძლო.

ამ დროს აივანზე თეკლას მამაც გამოვიდა. იმან თანაგრძნობით შეხედა ახალგაზდა ქალ-ვაჟს და მწუხარებით ამოიოხრა. პლატონის დაუკითხავათ მისმა გულმაც იმავე მწუხარებით ბანი მისცა ამ ამოხვრას. ის გამოეთხოვა თეკლას მამას, ერთხელ კიდევ ჩამოაროვა ხელი თავის საცოლოს, ერთხელ კიდევ ჩაიხედა მის ღრმა, საყვარელ თვალებში—და ცხენს მოახტა.

— მშვიდობით! ერთხელ კიდევ დაიძახა მან და ქიშკართან რომ მოვიდა; ველარ მოითმინა, ცხენი შეაჩერა და უკან მოიხედა; აივნის კიბის თავზე მზის სხივებით განათებული, შავ-წინწკლე-ბიანი ყვითელი ჩათის კაბით იდგა ახალგაზდა ქალი-შვილი, რომლის წაბლის ფერ გრძელ თმას საღამოს სიო ნაზათ ათამაშებდა, რომლის დიდი, ლურჯი თვალები გამოუთქმელი სევდით, გამოუთქმელი ტანჯვით მიჩერებოდენ ცხენზე მჯდომ ყმაწვილ კაცს; იგივე ტანჯვა, იგივე სევდა ჩატებოდა მწარე ღიმილში, რომელიც მის ფერმკრთალ ტუჩებზე თამაშობდა, მის უღონოთ ძირს დაშვებულ ხელებში, მთელ მის ახალგაზდა, სუსტ, ჰაეროვან არსებაში... ნუ თუ, ნუ თუ მან იცოდა, რომ უკანასკნელათ ხედავდა ყმაწვილ კაცს?

ახლაც პლატონის გულმა ძგერა მთლათ შეწყვიტა, ახლაც მთლათ გაფითრდა ყმაწვილი კაცი, რომ გაახსენდა, რა წერილი მოიღო ხუთ თვეს შემდეგ თეკლას მამისაგან. თვეზე მეტი იყო, თეკლას წერალი აღარ მიეღო, მოუთმენლათ, გულის ძგერით მოელოდა მას, და... ოჰ, ის წერილი! ახლაც ზეპირათ იცის!

„ჩემი ქალი გადაიცვალა, სიკვდილის წინ მთხოვა თქვენთვის წერილი მომეწერა და შემეტყობინებინა, რომ უკანასკნელ წუთამდის ახსოვდით, რომ უკანასკნელ წუთსაც თქვენი სახელი ეკერა ტუჩებზე... მთხოვა, თქვენთვის გამეხსენებათ ორი საუბარა: წყლის პირს და პატარა პავილიონში“... მეტი არაფერი არ ეწერა, ეტყობოდა, უბედურებისაგან თავბრუ დასხმულ მამას ამის მოწერაც ძლივს მოეხერხებინა... მეხი რომ ჩამოვარდნილიყო და თავზე დაცემოდა პლატონს, მგონი ისიც კი ისე ვერ გამოაშტერებდა, როგორც ამ მოკლე წერილის მიღებამ გამოაშტერა. თეკლა მოკვდა! თეკლა აღარ არის! აღარ არიან მისი ლურჯი თვალები, ფერმკრთალი სახე, წაბლის ფერი მზინავი თმა, წვრილი თითები, გამოუთქმელი შვენებით სავსე ღიმილი. მთელმა ორმა თვემ გაიარა, სანამ პლატონმა კარგათ შეიგნო, კარგათ გაიგო, რას ნიშნავდენ ეს საშინელი სიტყვები! მთელი ორი თვე თავი სიზმარში, საშინელ, საზიზღარ სიზმარში ეგონა და სულ ცდილობდა, რამე ნაირათ გამოეღვიძნა, გამოეკვეულიყო, მაგრამ გამოღვიძება, გამოეკვევა შეუძლებელი იყო.. მხოლოდ ორ თვეს იქით გაიგო, რაში იყო საქმე და ისეთი მწვავე, ისეთი აუტანელი მწუხარება იგრძნო, რომ ყველაფერს თავი დაანება და მთელი დღეობით, დღიდან საღამომდის, თავის ოთახში, თავის ლოგინზე ეგდო და წარსულის მოგონებებით ცხოვრებდა. რა ნათელი, რა მომხიბლავი იყო წარსული და რა

ბნელი, უაზრო, უმნიშვნელო—მომავალი! მის მომავალზე ოცნებებში უოველთვის პირველი ადგილი თეკლას ეჭირა, თუ რისამე გაკეთებას აპირებდა— იმიტომ რომ მის თხელ ტუჩებზე გამამხნევებელ ღიმილის გამოწვევას მოჰლოდა, თუ რამეზე ოცნებობდა— იმიტომ რომ უოველთვის ისიც თავის გვერდში მხატვრობდა, თუ მომავალს ეტრფოდა— იმიტომ რომ მომავალი მისი იქ უოფნით იყო გაცისკროვნებული, ის იყო მისი მომავლის ერთადერთი სპეტაკი ვარსკვლავი, იმედი, აზრი, მნიშვნელობა, ოცნება... ახლა კი— გაჰქრა ის, და გაჰქრა ფიქრები, ოცნებები, იმედები. გაჰქრა მომავალი, გაჰქრა ყველაფერი!

რასაკვირველია, პლატონი პირველ კურსზე დარჩა, დედ-მამამ ძლივს იცვენეს, როცა ის, ჩონჩხსავით ჩამომხმარი, მთლათ გაყვირებული, სიგამხდრისაგან თვალეზ გადიდებული სახლში დაბრუნდა...

მერე? მერე ის, რომ... გავიდა ერთი წელიწადი, გავიდა ორი, სამი, ოთხი... პლატონი შეუჩრგდა იმ აზრს, რომ თეკლა აღარ იყო, ახლა პლატონს შეეძლო მომავალი უიმისოთაც წარმოედგინა... ის შეხვდა ლიზიკოს, შეიყვარა, მერე ცოლათაც შეირთო. მაგრამ ხსოვნა, ის პოეტური ხსოვნა, რომელზედაც მაშინ, ბალის პატარა, ლამაზ პავლიონში თეკლა ლაპარაკობდა, მაინც არ ამოფხვრილა იმის გულიდან; და ახლაც, ახლაც რომ შეეძლოს და გულში ჩახედოს პლატონს თეკლამ, ცხადათ დაინახავს, რომ სიყვარული, ის წმინდა, ნაზი სიყვარული, რომლის გაქარწყლებასზედაც მაშინ, მოჩუხჩუხე წყლის პირს ის დაფიქრებით ლაპარაკობდა, ახლაც ხელუხლებლათ, შეუბღალავათ, შეუმცივებლათ არის ამ გულში, ახლაც განუსაზღვრელათ მეფობს იქ.

— თეკლა, თეკლა, ხომ არ მიწყრები? მე შენთვის არ მილაატნია, არა!— თითქმის ხმა მალლა წამოიძახა პლატონმა და შეკრთა, უეცრათ გამოერკვა, შუბლზე ხელი გადისეა. სრულიად დაღამებულიყო. სასადილო ოთახიდან ჭურჭლის რაწყუნე ისმოდა. აი, კარებიც გაიღო, მეორე ოთახიდან სინათლემ შემოაშუქა და ამ სინათლესთან ერთათ ოთახში ლიზიკოც შემოვიდა. ის მიუახლოვდა ქმარს, ჩამოჯდა მის გვერდიან დივანზე, თმაზე ხელი გადუსვა და მოფერებით, თითქო ბოდიშის მოთხოვნით, უთხრა:

— წამოდი, პლატონ, ჩაი მზათ არის!..

პლატონი ერთ ხანს ჩუმათ იყო, მერე უტბათ წამოღდა, თავი გაიქნია, ხელით თმა გადისწორა და რალაც შეცვლილი ხმით მიუგო:

— მე მზათ ვარ, აბა, წავიდეთო.

არა, ამ წამს მას არ შეეძლო რამე ტკბილი სიტყვა ეთქვა მასთან შესარიგებლათ მოსულ ცოლისათვის, ის ჯერ კიდევ თეკლას გვერდით გრძნობდა თავის თავს...

ცოლ-ქმარი ერთათ შევიდენ ქერზე ჩამოკიდებული დიდი ლამპით განათებულ სასადილო ოთახში, სადაც თეარ სუფრა გადაფარებულ სტოლზე სამოვარი მხიარულათ ჩუხჩუხებდა და ხმა ამოუღებლათ ერთმანეთის პირდაპირ დაჯდენ. ლიზიკომ ჩაინიკი ჩამოიღო და ორ სტაქანში ჩაის სხმა დაიწყო.

15 იანვარი, 1899 წ.

ელ. წერეთელი.

ბ ი ბ ლ ი მ მ რ ა შ ი ი

(დასასრული*)

„წყარო“ წიგნი მეორე, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან. ქ. შ. წერა-კითხვის გაზავრც. საზ. გამოცემა.

ისტორიული განყოფილების შემდეგ მოთავსებულია საქართველოს დაბა-ქალაქების და მონასტრების აღწერა. საკვირველია, რომ ჩვენ ჰედაგოგს სხილო ვერ შეუნიშნავს, თუ არ შეუნიშნავს: წიგნი აღწერილია: — ოზურგეთი, სიღნაღი, — სხვა და სხვა „იყო და არა იყო-რ“ — ჩვენი დედა ქალაქი, თფილასი კი დავიწყებთ, საჭიროთ დაუნახავს მხლათ სიონის აღწერა...

თფილისს ეწეინება, თორემ ამ აუწერლობით არა დაკლდა-რა მას, რადგანც უეჭველია იმასაც ესე უტკმუხათ, ძალათ ჰოეტურათ აღწერდა, როგორც ზოგი ერთა ქალაქებია აწერილი. მოვიუვანთ მაგალითათ სიღნაღის აღწერას: „სიღნაღი ძეგს მუდამ (?) თერუხის ფრათ ამწვანებულ ალაზნის ველთან (?) „ცივის“ გაშლილ კალთებზე, აქედან თითქო ცის დასავალსაც კი ხედავ (?) ისეთი საცარი სანახავია ალაზნის ორივე ნახირი“ (?).. აქედან მკითხველი ცხდათ დაინახავს რა ჰოეტურათ ეოფადა აღწერილი საქართველოს დაბა-ქალაქები!.. მცხოვრებთა რადენობა არც ერთი ქალაქის შესახებ არ არის. ზოგან ჩამოთვლილია ამა თუ იმ ქალაქის საზოგადო დაწესებულებანი ზოგან არა... ასე რომ ამ აწერილობით ვერავითარ წარმოდგენას ვერ შეადგენს მკითხველი. მონასტრების აღწერა კაცს მოგონებს ეოველ დღიურ გაზეთში დაბეჭდილ ძალათ არხოლოგის კორესპონდენტის და არა სახელმძღვანელოში მოთავსებულ სტატიას, თუ კი ამისთანა სტატიები უნდა იბეჭდებოდეს სახელმძღვანელოში. ვისაც ეს წიგნი გადაუკითხავს დამუთახნება, რომ გადაჭარბებულს არას ვაზობ,

*) იხ. „ვეალი“ № 51.



მაგრამ სხვებისათვის საჭირო იქნება ისევ მაგალითი და მეც მივართმევ, რამდენიცა ნებაა: „სიდიდით ეს (ალავერდის) ეკკლესია ძვირფას ნაშთათ ითვლება. სი- მადლით 32 სუჟ., სიგძით—27, სიგანით—14. გუმბა- თი დამყარებული აქვს ექვს სვეტზე.“ ან კიდევ: „იუფ- თოს სანახებში, მთებში და გაფრანგებულ ადგილებზე ესლან მრავალ ეკკლესიის ნანგრევებს უჩვენებენ. კახე- ლების გადმოცემით აქ—59 ეკკლესია უოფიდა...“ „იუფთოს ეკკლესიის გუმბათი დამყარებულია ნაზ და ლამაზ სვეტებზე.“ ან კიდევ: „ამ წარწერებით ნამდვი- ლათ ჩანს, რომ ის არის აშენებული მეექვსე საუ- გუნეში...“ შესანიშნავი ეკკლესიებია კლარჯეთში: ანჩა, ოზიზა, ტბეთი, ხახულის, იშხანის, კომხის, ბანის, აგარაკის და სხალოთის!.. „ბაქსისი დამყარებულია ათს სვეტზე და მხატვრობით სავსეა...“ თითქმის წვიმაც კი არსად ჩადის, ასე რომ მისი განახლება ერთობ ადვილია.“ სულ ასეთი და უკეთესი ცნობებით არის სავსე უკანასკნელი განყოფილება..

დავუბრუნდეთ ახლა სხვა განყოფილებებს: ცხოვე- ლების, ფრინველების და მცენარეების განცობაში ბ. ქუ- თათელაძე გარკვევს ადწერილობას დიდ მნიშვნელობას აძ- ლევს. თანაც ცდილობს სხარტულათ გამთქვას აზრი, მაგრამ ხშირათ აბუნდებს აზრს და ერთ და იმავე სი- ტუეებს იმეორებს. მაგალითათ, „ამ დიდებული ფრინვე- ლის (არწივის) უოველი მოძრაობა სიამაყეს, გამბედაობას და შიშს (არწივის?) გარძნობინებს“. ფრენა იცის დინ- ჯი, თითქმე ჰაერის ტალღებს მიწებებიანო; კაცს ეგო- ნება ფრთებს არ აჩვენებს, მაგრამ გაპკრავს (?) თუ არა, ცის სიფრცეში დაიკარგება და იქ ცურავს მძლავრ ფრთებზე (?) (ჭართული ჰოეზიაც თუ გინდათ ეს არის). ან კიდევ ის: „მარიამ ჭიას გაუშლია ფრთები ქოლგა- სავით და შივის სხივზე ტკბილათ მოსურავს. აი კი- დევ ძალ-დატანების ნიშნები: „ზარხაშოს თვალები აქვს შეტათ დიდი, რგვალი და სულელი. აქლემს თვალები აქვს დიდი და სულელი, მარტოქას თავი აქვს მოგრძო და ვი- წრო, თვალები სულელი. იგი ჭკუით ერთობ და- სჯილია. ბაყას თავი აქვს დიდი, თვალები—სულელი. ეს კიდევ ცრტაა. ჩვენი ჰატიფტემული ჰელაგოვი ცხო- ველების ადწერას ხუმრობითი ხასიათს აძლევს, რაც სრუ- ლებით სხელმძღვანელის არ შეეფერება: „გამოგვალგვალდა სინდოფადა! თვალები გადმოუზრწავს, უღვაშები გად- მოუწკინარტების და ქორწილში მიდის. ხაზა ხოჭოს დინჯათ აუღია თავი და წინა-ფეხებით უღვაშებს იწმენდს, ზირს იბანს, ქორწილში მიეჩქარება...“ ვერაფერი მა- ყარი იქნება ხოჭო, თუნდა თავის დროზეც მივიდეს!..

წაგნის გადაკითხვის დროს ჩვენ შევნიშნეთ კიდევ შემდეგი შეცდომები: „ზაფხულში მზე ზემოდან და- გვტქერის და სხივს შეუვლათ გვესერის“. რა ბრძანებაა! ჩვენამდე რომ შეუვლი სხივი მოდიოდეს, მაშინ ინდოე- თში ვიქნებოდით და არა კაკასიანში!..

გასხვლის დროს ყველა ვაზს ორ რქაზე დააყენებენ ბენ და. ამ რქასაც ორ კვირტზე შეტის არ შეარჩენენ.“ შეურნეები სწორეთ აშენდებიან, თუ ჰელაგოვის რეცეპტით შეუდგებიან ვენახების სხვას. შეცდომით არის აგრეთვე აბრეშუმის ჭიის გამოშვების ამბავი და სხ...

ბუნების მოვლების ადწერიდან გამომშვეულებია ქუხი- ლის, ელვის, მუხის და მიწის-ძვრის გაჩენის ამბავი. აღ- ბათ საჭიროთ არ დაუნახავს მოსწავლემამა შეგნებულათ იცოდენ ის, რაც ჩვენი ჰელაგოვისავე სიტუვით, სზილამ ინსტიტუტურათ იცის. ხამის, ანუ ცვარის გაჩენას ასე ხსნის „წყაროს“ ავტორი: „გრილი ჭყერი მასში მუოფ ერთქლს გაცდიებს, შეჭკუმშავს და ნამებთ აქცევს. ნამი მძიმეა და ძირს ვარდება. ნამი ცივ საგნებს რომ და- ცემა, მაშინ გამოჩნდება. ამას ჩვენ ვეტივით ცვარს.“ თუმცა გაუგებრათ არის ნათქვამი, მაგრამ მაინც შეცდო- მას: ასე რომ იუთს, მაშინ ვეველას საგნებზე ერთხანათ დაედებოდა ცვარი. გვიკვირს შეცნიერებაში მიღებული და უფრო ჭკუასთან დაახლოვებული ახსნა რატომ არ ჩაურ- თავს ბ. ქუთათელაძეს.

კარგს იზამდა აგრეთვე ჩვენი ჰელაგოვი, რომ სე- ტუვის გაჩენის ახსნაში ეხელმძღვანელა ახალი შეხედუ- ლობით, რომელზედაც დამყარებულია სეტუვის თავიდან ასაცილებელი საშუალება და რომლის წყალობით იტა- ლიის ზოგიერთ ჰროფინციებში სეტუვისაგან განადგურე- ბა საზღაზრო ამბათ გადაიქცა...

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ მართლ-წერა არეულია—ხანა სწერს „კარგათ“ და ხან „კარგად“. ხან „ჭკითხა“, ხან „შეცდა“ და ხან „შესცდა“. ამათგანი რომელი უფრო კანონიერია, ამისი გამოცნობა შემდეგ- ნელსაც, და გამომცემელსაც მკითხველზე მიუგდია, მა- შინ როდესაც მკითხველს მათგან უნდა გაეგო და ესწა- ვლას... კორექტურული შეცდომებიც ბლომათ არის.

ი. გ—რი.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწუებს იმათ, რომელთაც ქ. თფი- ლისში ცხენები ჭვავთ, რომ, ქალაქის საბ- ჭოს, 13 მარტის ამა წლის დადგენილების თანახმათ, ქალაქის სასარგებლოთ ცხენების გარდასახადის დროსე შემოუტანლობის ჯა- რიმა მომაგალ 1901 წლიდან გარდასდებათ შემოუტან გარდასახადის რაოდენობის 18% 24%—ი.



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახაზებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაზარ-
თოვანული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისთვის: რადგანაც ახალ-წლიდან „კვალის“
გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შე-
საძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახა-
ლი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მათ შიგნით-
ხვედრისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება
მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა
სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი
ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მანეთით, თფი-
ლისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ.,
თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო
ნომერი სამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-
ნაწილად შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის სა-
ზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაუ-
რო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის
ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედა-
ქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15, ალექსანდროვის ბაღის ახ-
ლოს.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მა-
ღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში
და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში;
ქიათურაში კარბე მოდებამესთან და ყვირილაში ივანე არდი-
შვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

„ივერია“

გამოვა 1901 წელსაც

იმავე პროზაით, როგორც წინაჲ

ფასი გაზეთისა

12 თვით . . . 10 მ.— კ.	6 თვით . . . 6 მ.— კ.
11 „ . . . 9 „ 50 „	5 „ . . . 5 „ 50 „
10 „ . . . 8 „ 75 „	4 „ . . . 4 „ 75 „
9 „ . . . 8 „ — „	3 „ . . . 3 „ 50 „
8 „ . . . 7 „ 25 „	2 „ . . . 2 „ 75 „
7 „ . . . 6 „ 50 „	1 „ . . . 1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის
წლით. სოფლს მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით და-
ეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი თფილისს გარეთ
ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში
ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეთ ერთის ადგილიდან
მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს,
ამას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწი-
ლად შემოიტანონ ამგვარად: ხელის-მოსაწერს ღრგ 3 მან:
პირველ მარტს—2 მან; პირველ მაისს—3 მან. და პირ-
ველ სექტემბერს—2 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზე კითხა-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველ-
ხედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

თფილისი. „ივერიის“ რედაქცია

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც.
საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-
აზნაურობის სახლი.

ტელეფონის № 227

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакція „ИВЕРΙΑ“.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 დეკემბერს 1900 წ.

გ ა ნ ე ზ ი ს ი

გ. კამერელიძის და გ. კანდელაკისა.

ქ-ნ მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა და ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის

მონაწილეობით

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I.

პირველათ ახალი პიესა

პირინეის მგელი

ისტორიული დრამა 5 მოქ. ვ. არუზისა, თარგ. მემარიშვი-
ლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. გუგია**.

Открыта подписка на 1091 г.

Тифлисскій Листокъ

(26 годъ изданія).

„Тифлисскій листокъ“ и въ 1901 году будетъ выходить ежедневно по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Будетъ обращено особое вниманіе на развитіе отдѣла корреспонденцій изъ разныхъ мѣстъ Закавказья.

Въ теченіе года подписчики получатъ не менѣе 12-ти литературныхъ приложеній, въ которыхъ будутъ помѣщаться статьи по кавказовѣдѣнію, повѣсти, рассказы, стихотворенія и пр.

Время отъ времени приложенія будутъ иллюстрироваться портретами и рисунками.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылааться телеграммы.

Подписная цѣна:

Въ Тифлисъ: на годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к., на 1 мѣс.—75 к.

Для иногороднихъ: на годъ—7 руб., на полгода—4 р., на 3 мѣсяца 2 р. 50 к. и на 1 мѣс.—1 р.

На всѣ указанные сроки подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца.

Разсрочка и подписка на другіе сроки не допускается.

Подписка принимается исключительно въ конторѣ изданія: Тифлисъ, Геловинскій, № 3.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1901 ГОДЪ
На ежедневную Политическую, Литературную, и Экономическую газету

„НОВОСТИ“

и на художественный журнал

„Петербургская Жизнь“.

Изданіе акціонернаго Общества „ГУТТЕНБЕРГЪ“.

Подписка на „НОВОСТИ“ въ 1901 году
НА 1-Е (БОЛЬШОЕ) ИЗДАНИЕ

Безъ доставки на годъ 14 р. 50 к. на 11 м. 13 р. на 10 м. 12 р. на 9 м. 10 р. 50 к. на 8 м. 9 р. 80 к. на 7 м. 9 р. на 6 м. 8 р. на 5 м. 6 р. 80 к. на 4 м. 5 р. 50 к. на 3 м. 4 р. на 2 м. 2 р. 80 к. на 1 м. 1 р. 50 к.

Съ доставкой по городской почтѣ на 12 м. 16 р. на 11 м. 15 р. на 10 м. 13 р. 50 к. на 9 м. 12 р. на 8 м. 11 р. на 7 м. 10 р. на 6 м. 9 р. на 5 м. 7 р. 50 к. на 4 м. 5 р. 80 к. на 3 м. 4 р. 50 к. на 2 м. 3 р. 30 к. на 1 м. 1 р. 80 к.

Съ пересылкой иногороднимъ на 12 м. 17 р. на 11 м. 15 р. 50 к. на 10 м. 14 р. 50 к. на 9 м. 13 р. 50 к. на 8 м. 12 р. 10 к. на 7 м. 11 р. 30 к. на 6 м. 10 р. на 5 м. 8 р. 50 к. на 4 м. 7 р. на 3 м. 5 р. 50 к. на 2 м. 4 р. на 1 м. 2 р.

Заграницу на 12 м. 26 р. 20 к. на 11 м. 24 р. 50 к. на 10 м. 23 р. на 9 м. 21 р. на 8 м. 18 р. 50 к. на 7 м. 16 м. на 6 м. 14 р. на 5 м. 12 р. на 4 м. 10 р. на 3 м. 8 р. на 2 м. 6 р. на 1 м. 3 р. 50 к.

НА 2-Е (МАЛОЕ) ИЗДАНИЕ:

Съ доставкой по городской почтѣ на 12 м. 9 р. на 11 м. 8 р. 50 к. на 10 м. 8 р. на 9 м. 7 р. 50 к. на 8 м. 7 р. на 7 м. 6 р. 50 к. на 6 м. 6 р. на 5 м. 5 р. на 4 м. 4 р. на 3 м. 3 р. на 2 м. 2 р. на 1 м. 1 р.

Съ пересылкой иногороднимъ на 12 м. 10 р. на 11 м. 9 р. 50 к. на 10 м. 9 р. на 9 м. 8 р. 50 к. на 8 м. 8 р. на 7 м. 7 р. на 6 м. 6 р. на 5 м. 5 р. на 4 м. 4 р. на 3 м. 3 р. на 2 м. 2 р. на 1 м. 1 р.

Заграницу на 12 м. 18 р. на 6 м. 10 р. на 3 м. 6 р. на 1 м. 2 р.

Подписывающіеся на „Новости“ вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью“

Доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на „Новости“ (каждаго срока) только одинъ рубль.

РАЗСРОЧКА платежа годовой цѣны подписной допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, в контору газеты „НОВОСТИ“, Б. Марская № 17. Адресъ для телеграммъ: Петербургъ, „Новости“.

Подписка на „Новости“ вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью“ представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку **ОДНОГО** рубля къ подписной цѣнѣ газеты приобретаетъ два раза въ недѣлю иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристический, научный и др. матеріалъ и массу художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоящую болѣе рубля, и, такимъ образомъ, подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой приплатѣ со стороны редакціи къ стоимости пересылки.

„Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ

„Петербургская Жизнь“

(Выходитъ два раза въ недѣлю).

Подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. Съ доставкой и пересылкою на годъ—6 р., на 6 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—1 р.

При конторѣ газеты „НОВОСТИ“ существуетъ **КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ** услугами котораго подписчики „НОВОСТЕЙ“ пользуются на льготныхъ условіяхъ.

Отвѣтственный редакторъ-издатель **О. К. ПОТОВИЧЪ**.